შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
მერიდიან მერითაიმ თრეინინგ სენთერ
ს/კ: 445593705

ჯავახიშვილის 4ა
ბათუმი, საქართველო, 6004
ტელ: (+995) 511 400 303
ელ-ფოსტა: info@meridiani.edu.ge
ვებ-გვერდი: www.meridiani.edu.ge

MERIDIAN

LIMITED LIABILITY COMPANY
Meridian Maritime Training Centre
I/N: 445593705

Javakhishvilis str. 4a
Batumi, Georgia, 6004
Tel: (+995) 511 400 303
E-mail: info@meridiani.edu.ge
Web: www.meridiani.edu.ge

№ 00000067

12/03/2026

შპს „მერიდიან მერითაიმ ტრეინინგ სენთერის“ კოლეჯის პროფესიულ სტუდენტთა ეთიკის კოდექსი

სარჩევი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები
მუხლი 2. პროფესიულ სტუდენტთა უფლებები და ვალდებულებები
მუხლი 3. პროფესიული სტუდენტის ქცევის წესები და პასუხისმგებლობა
მუხლი 4. დისციპლინური პასუხისმგებლობა
მუხლი 5. დისციპლინური სახდელის შერჩევა და დაკისრება
მუხლი 6. დავა, შემათანხმებელი პროცედურა და განცხადების/საჩივრის განხილვის წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1.1 წინამდებარე დოკუმენტი ადგენს შპს „მერიდიან მერითაიმ ტრეინინგ სენთერის“ კოლეჯისპროფესიული სტუდენტების(შემდგომში „სტუდენტი“) უფლებებს, ვალდებულებებს, ქცევისწესებს, წახალისებისა და დისციპლინური ღონისძიებების ადმინისტრირების პროცედურებს;

1.2 კოლეჯის ყველა პროფესიული სტუდენტი თანაბრად სარგებლობს საქართველოს კანონმდებლობით, კოლეჯის შიდა რეგულაციებით მინიჭებული უფლება-მოსილებებით.

1.3 პროფესიული სტუდენტები ვალდებულნი არიან დაიცვან კოლეჯში მოქმედი ეთიკისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმები. აღნიშნული კოდექსის დაცვა ხელს შეუწყობს კოლეჯის მიერ პროფესიული განათლების მიზნების განხორციელებას, საზოგადოების ნდობისა და ავტორიტეტის ზრდას, ასევე სასწავლო დაწესებულების პრესტიჟის ამაღლებას.

მუხლი 2. პროფესიულ სტუდენტთა უფლებები და ვალდებულებები

2.1 პროფესიულ სტუდენტს აქვს შემდეგი უფლებები:

ა) მიიღოს თავისი ინტერესებისა და პროფესიული განვითარების შესაბამისი ხარისხიანი განათლება და აქტიურად მონაწილეობდეს როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ სასწავლო პროცესში;

ბ) კოლეჯის ადმინისტრაციისგან მოითხოვოს იმ ვალდებულებების შესრულება, რომლებიც განსაზღვრულია მოქმედი კანონმდებლობით, კოლეჯის შიდა რეგულაციებით, სტუდენტთან გაფორმებული ხელშეკრულებითა და შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამით;

გ) ისარგებლოს კოლეჯის საგანმანათლებლო და დამხმარე რესურსებით, მათ შორის ბიბლიოთეკით, საინფორმაციო სისტემებითა და სხვა სასწავლო საშუალებებით;

დ) მიიღოს კოლეჯის ადმინისტრაციისგან სრული და ამომწურავი ინფორმაცია საკუთარი უფლებების, სასწავლო პროგრამების და სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ;

ე) თავისუფლად გამოხატოს საკუთარი აზრი და პოზიცია აკადემიურ გარემოში;

ვ) მონაწილეობა მიიღოს ინდივიდუალური საგანმანათლებლო გეგმის დაგეგმვასა და ჩამოყალიბებაში;

ზ) ჩაერთოს კოლეჯში მიმდინარე სასწავლო პროცესის შეფასებაში და მონაწილეობა მიიღოს ხარისხის უზრუნველყოფის ღონისძიებებში;

2.1 პროფესიული სტუდენტის ვალდებულებები

პროფესიულ სტუდენტს ეკისრება შემდეგი ვალდებულებები:

ა) დაიცვას მოქმედი კანონმდებლობა, კოლეჯის საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი წესები და კოლეჯში მოქმედი სხვა შიდა ნორმატიული აქტები;

ბ) სრულად შეასრულოს შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული მოთხოვნები და სასწავლო აქტივობები;

გ) დაიცვას და შეასრულოს კოლეჯთან გაფორმებული სასწავლო ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები და ვალდებულებები;

დ) პატივი სცეს სხვა პირების უფლებებს, თავისუფლებებსა და კანონიერ ინტერესებს;

ე) აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით იმოქმედოს და სასწავლო პროცესში არ გამოიყენოს პლაგიატი;
ვ) იზრუნოს კოლეჯის იმიჯისა და რეპუტაციის დაცვაზე, ასევე გაუფრთხილდეს კოლეჯის ან პრაქტიკის ობიექტის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსებს.

მუხლი 3. პროფესიული სტუდენტის ქცევის წესები და პასუხისმგებლობა

3.1. კოლეჯის პროფესიული სტუდენტები ვალდებულნი არიან პატივი სცენ და შეინარჩუნონ დაწესებულების ავტორიტეტი და პრესტიჟი, დაიცვან კოლეჯის ტერიტორიაზე მოქმედი ქცევის წესები და ეთიკური ნორმები, ასევე კორექტულად და პატივისცემით იურთიერთონ კოლეჯის თანამშრომლებთან და სხვა სტუდენტებთან.

3.2. ეთიკის ზოგადი წესების დარღვევად ჩაითვლება კოლეჯის ტერიტორიაზე განხორციელებული შემდეგი ქმედებები:

ა) სასწავლო პროცესის შეფერხება ან მისი ნორმალური მიმდინარეობისათვის ხელის შეშლა;
ბ) ალკოჰოლური სასმელების შეტანა, გავრცელება ან მოხმარება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დაწესებულების მიერ ორგანიზებულ ღონისძიებაზე ეს ნებადართულია;
გ) თამბაქოს მოწევა კოლეჯის ტერიტორიაზე;
დ) კოლეჯის ქონების დაზიანება;
ე) კოლეჯის ტერიტორიის დანაგვიანება ან დაბინძურება;
ვ) ბილწსიტყვაობა ან სიტყვიერი შეურაცხყოფა სხვა პირის მიმართ;
ზ) ხმაური, ჩხუბი ან ძალადობრივი ქმედება კოლეჯის შენობაში ან მის ტერიტორიაზე;
თ) აზარტული თამაშების ორგანიზება ან მონაწილეობა;
ი) კოლეჯის ინვენტარის გამოყენების წესების დარღვევა (მაგ.: ავეჯზე ან კედლებზე წარწერების გაკეთება, სასწავლო ავეჯის დაზიანება, განცხადებების ჩამოხევა ან დაზიანება და სხვა);
კ) ცეცხლსასროლი ან ცივი იარაღის შეტანა, გავრცელება ან გამოყენება;
ლ) ალკოჰოლური, ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული ნივთიერებების შეტანა, გავრცელება ან მათი ზემოქმედების ქვეშ კოლეჯში გამოცხადება;
მ) სხვა პირის მიმართ ფსიქოლოგიური ან მორალური ზეწოლა;
ნ) სხვა სტუდენტის საკუთრების უფლების დარღვევა, მათ შორის ნივთის დაუფლება მესაკუთრის ნების საწინააღმდეგოდ, მოტყუებით ან მუქარით ნივთის გამორთმევა, გამოძალვა ან მსგავსი ქმედებების მცდელობა;
ო) გამოცდის ჩატარებისა და გამოცდაზე ქცევის წესების დარღვევა;
პ) კოლეჯში გამოცხადება მოუწესრიგებელი გარეგნობით, არასათანადო ჩაცმულობით ან ჰიგიენის ნორმების დაუცველად;
ჟ) სტუდენტების ან თანამშრომლებისთვის არასწორი ინფორმაციის მიწოდება, რომელიც მიზნად ისახავს სასწავლო პროცესის ან გამოცდის ჩაშლას, გაცდენების საპატიოდ ჩათვლას ან ოჯახის წევრებთან დაწესებულების თანამშრომლების კონტაქტის შეფერხებას;
რ) კოლეჯის ქონების დაკარგვა ან მისი დაბრუნებაზე უარის თქმა;
ს) დაწესებულებისთვის საჭირო დოკუმენტაციის უნებართვოდ აღება ან განადგურება;
ტ) კოლეჯის შენობისა და ეზოს დაბინძურება ან დანაგვიანება.

3.3. სასწავლო პროცესთან დაკავშირებული ეთიკის წესების დარღვევად ჩაითვლება:

ა) პლაგიატი — სხვისი ნაშრომის სრულად ან ნაწილობრივ გამოყენება ავტორისა და წყაროს მითითების გარეშე, ან სხვისი ნაშრომის საკუთარად წარმოდგენა;
ბ) სხვა სტუდენტის ნამუშევრის მოპარვა, განადგურება ან ცვლილება;
გ) სხვა სტუდენტისთვის აკადემიურ თაღლითობაში დახმარება;
დ) სხვის ნაცვლად გამოცდის ჩაბარება ან პირადობის გაყალბების მცდელობა;

ე) საკვალიფიკაციო ან განმსაზღვრელი გამოცდების მასალების გავრცელება ან უკვე ჩაბარებული ნამუშევრის უნებართვოდ შეცვლა;
ვ) მოდულის განმახორციელებელზე ან ადმინისტრაციულ პერსონალზე ზეწოლა შეფასების მიღების მიზნით;
ზ) კოლეჯში წარსადგენი დოკუმენტაციის გაყალბება ან არასრულყოფილად წარდგენა.

მუხლი 4. დისციპლინური პასუხისმგებლობა

4.1 დისციპლინური პასუხისმგებლობა გამოიყენება კოლეჯის პროფესიული სტუდენტების მიმართ მათ მიერ კოლეჯის ტერიტორიაზე დისციპლინური გადაცდომის ჩადენის შემთხვევაში.
4.2 დისციპლინარულ გადაცდომად მიიჩნევა პროფესიული სტუდენტის ისეთი ქმედება ან უმოქმედობა, რომელიც არღვევს საქართველოს კანონმდებლობას, კოლეჯის შიდა რეგულაციებს, წინამდებარე დოკუმენტით განსაზღვრულ ეთიკის წესებს ან სასწავლო პროცესის ნორმალურ მიმდინარეობას.
4.3 დისციპლინარული გადაცდომის დადგენის შემთხვევაში პროფესიული სტუდენტის მიმართ შეიძლება გამოყენებულ იქნას წინამდებარე დოკუმენტით განსაზღვრული დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომები.
4.3 პროფესიული სტუდენტის მიმართ გამოიყენება შემდეგი სახის დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომები:
ა) გაფრთხილება;
ბ) მატერიალური ზიანის ანაზღაურება.
4.4 მე-3 მუხლის 3.2 პუნქტით განსაზღვრული დარღვევების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტზე გავრცელდება კოდექსის მე-4 მუხლით განსაზღვრული დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომები.
4.5 3.2 და 3.3 პუნქტებში მითითებული დარღვევების შედეგად, თუ სტუდენტის ქმედებამ კოლეჯს მიაყენა ფინანსური, მატერიალურ-ტექნიკური ან მორალური ზიანი, სტუდენტს შეიძლება დაეკისროს შესაბამისი ფინანსური პასუხისმგებლობაც.
4.4 კოლეჯის მარეგულირებელი აქტებით დადგენილი წესებისა და პირობების დარღვევის შემთხვევაში, აგრეთვე სხვა დისციპლინური გადაცდომების დროს, რომელთა პასუხისმგებლობის ზომა წინამდებარე მუხლში პირდაპირ არ არის განსაზღვრული, გადაწყვეტილებას იღებს კოლეჯის დირექტორი, დადგენილი პროცედურების დაცვით და თითოეული შემთხვევის ინდივიდუალური შეფასების საფუძველზე.

მუხლი 5. დისციპლინური სახდელის შერჩევა და დაკისრება

5.1. დისციპლინური წარმოების დაწყების შემთხვევაში, კოლეჯის დირექტორის ბრძანებით იქმნება დისციპლინური კომისია, რომელიც შედგება არანაკლებ 3 წევრისგან.
5.2. დისციპლინურ კომისიას ხელმძღვანელობს კოლეჯის დირექტორი ან დირექტორის მიერ განსაზღვრული სხვა უფლებამოსილი პირი.
5.3. კომისიის შემადგენლობის განსაზღვრისას უნდა იყოს დაცული გენდერული ბალანსის პრინციპი. დაუშვებელია კომისიის მხოლოდ ერთი სქესის წარმომადგენლებით დაკომპლექტება.
5.4. დისციპლინური კომისიის სხდომას, საჭიროების შემთხვევაში, შეიძლება დაესწროს ის პროფესიული სტუდენტი, რომლის მიმართაც მიმდინარეობს დისციპლინური წარმოება.
5.5. კოლეჯის დირექტორის დავალებით დისციპლინური კომისია ამზადებს წერილობით დასკვნას დისციპლინური გადაცდომის არსებობის ან არარსებობის შესახებ და წარუდგენს მას კოლეჯის დირექტორს.
5.6. კომისიის დასკვნა უნდა შეიცავდეს:

ა) დისციპლინური წარმოების დაწყების საფუძველს;
ბ) წარმოების პროცესში განხორციელებულ ღონისძიებებს;
გ) სამართლებრივ შეფასებას და დასაბუთებას დისციპლინური გადაცდომის არსებობის ან არარსებობის შესახებ;
დ)დისციპლინური გადაცდომის დადასტურების შემთხვევაში — შესაბამისი პასუხისმგებლობის ზომის დაკისრების დასაბუთებას.
5.7. კომისიის დასკვნა დაუყოვნებლივ გადაეცემა კოლეჯის დირექტორს.
5.8. კოლეჯის დირექტორი განიხილავს კომისიის დასკვნას და შესაბამის გადაწყვეტილებას იღებს დასკვნის წარდგენიდან 10 დღის ვადაში, რის საფუძველზეც გამოიცემა დირექტორის ბრძანება.
5.9. პროფესიული სტუდენტის მიმართ დისციპლინური სახდელის შერჩევისას დირექტორი ითვალისწინებს:
ჩადენილი დისციპლინური გადაცდომის სიმძიმეს;
გადაცდომის მიზანსა და მოტივს;
ქმედების შედეგებს ან შესაძლო შედეგებს;
პროფესიული სტუდენტის პიროვნულ თვისებებსა და ქცევას.
5.10. დისციპლინური სახდელის დაკისრების შესახებ მიღებული გადაწყვეტილების ასლი გადაეცემა პროფესიულ სტუდენტს.
5.11. პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაასაჩივროს დისციპლინური სახდელის დაკისრების შესახებ გადაწყვეტილება მისი ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში.
5.12. დისციპლინური სახდელის დაკისრების შესახებ დირექტორის ბრძანების დამოწმებული ასლი და დისციპლინური კომისიის დასკვნა უნდა დაერთოს პროფესიული სტუდენტის პირად საქმეს.

მუხლი 6. დავა, შემათანხმებელი პროცედურა და განცხადების/საჩივრის განხილვის წესი
6.1. კოლეჯსა და პროფესიულ სტუდენტს შორის დავის წარმოშობის შემთხვევაში, ორივე მხარე უნდა აცნობიერებდეს, რომ დავის ურთიერთშეთანხმებით გადაწყვეტა ორივე მხარის ინტერესებშია და ხელს უწყობს სამართლიან და ეფექტიან გადაწყვეტილებას.
6.2. კოლეჯის პრიორიტეტული პოლიტიკაა, რომ ნებისმიერი დავა გადაწყდეს შემათანხმებელი პროცედურების გზით.
6.3. დაუშვებელია, რომ დავამ, მიუხედავად იმისა ეხება თუ არა იგი ერთ ან რამდენიმე პროფესიულ სტუდენტს, შეაფერხოს სასწავლო პროცესის ნორმალური მიმდინარეობა ან ზიანი მიაყენოს კოლეჯის რეპუტაციას.
6.4. აღნიშნული დებულებები ვრცელდება ასევე იმ შემთხვევებზე, როდესაც დავა წარმოიშობა ერთზე მეტ პროფესიულ სტუდენტს შორის, ან როდესაც კოლეჯს დავა აქვს ერთ ან რამდენიმე პროფესიულ სტუდენტთან.
6.5. პროფესიულ სტუდენტს, რომელსაც აქვს პრეტენზია ან დავის საკითხი, უფლება აქვს წერილობითი განცხადებით ან საჩივრით მიმართოს კოლეჯის დირექტორს.
6.6. განცხადებას ან საჩივარს განიხილავს კოლეჯის დირექტორი ან მისი დავალებით განსაზღვრული პირი/კომისია. განხილვის პროცესში უზრუნველყოფილი უნდა იყოს სამართლიანობის, გამჭვირვალობის, მიუკერძოებლობისა და კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპების დაცვა.
6.7. განცხადების ან საჩივრის განხილვის პროცესში, საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია საკითხის დამატებითი შესწავლა. მოკვლევის პროცესში მიღებული ინფორმაცია კონფიდენციალურია.
6.8. განცხადებაზე, რომელიც არ საჭიროებს დამატებით მოკვლევას ან კომისიის განხილვას, კოლეჯი ვალდებულია წერილობითი პასუხი გასცეს განცხადების რეგისტრაციიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღის ვადაში.

6.9. საჩივრის ან დავის შემთხვევაში, რომელიც საჭიროებს განხილვას, კოლეჯის დირექტორი განიხილავს საკითხს 10 სამუშაო დღის ვადაში და მიღებულ გადაწყვეტილებას წერილობით აცნობებს დაინტერესებულ მხარეს. საკითხის სირთულის შემთხვევაში აღნიშნული ვადა შეიძლება გაგრძელდეს დამატებით 14 დღით.
6.10. დავის განხილვის პროცესში შესაძლებელია შესაბამისი დოკუმენტაციის შესწავლა, განმარტებების მიღება და საჭიროების შემთხვევაში შემათანხმებელი შეხვედრის ჩატარება.
6.11. იმ შემთხვევაში, თუ დავა ვერ მოგვარდება შეთანხმების გზით, მხარეს უფლება აქვს დავის გადასაწყვეტად მიმართოს სასამართლოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

შპს კოლეჯი მერიდიანი
აღმასრულებელი დირექტორი
შარაბიძე ირაკლი